№2561 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლად გ. რატიანის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1[1] პუნქტის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს 2014 წლის 12 ნოემბერს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება.
2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გოჩა რატიანი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**